ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2730951

ნომერი: AR1423489

თარიღი : 18.07.2016

გაცემის თარიღი : 29.07.2016

გაცნობის თარიღი : 05.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მმ. ზუბალაშვილები , N 42 / ქალაქი თბილისი , ქუჩა რიწა , N 1 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მმ. ზუბალაშვილები , N 44 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გოჩა ცერცვაძე პ/ნ 65007000276
- თბილისი მუხიანი II მ/რ კორ. 16 ბ. 11

ორგანიზაცია:
- შპს ჯორჯიან ამერიკან დეველოპერები კოდი: 404439327

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საცხოვრებელი ობიექტები
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1423489 18.07.2016 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ მიწის ნაკვეთებზე საკადასტრო კოდებით #01.15.05.005.048 და #01.15.05.005.015 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ საკდასტრო ერთეულს 01.15.05.005.015 საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის #3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, რომელზეც თანახმად საქართველოს კანონისა ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ ვრცელდება უძრავი ძეგლის მიმართ კანონით დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი, რომლის თანახმადაც მასზე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები არ გაიცემა.
შესაბამისად, იმ შემთხვევაშ თუ მოიძებნება ალტერნატიული ვარიანტი სამსახური განიხილავს აღნიშნულს კანონით დადგენილ ვადაში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად, თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.